სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

69575120613115

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150744874

რეგისტრაციის თარიღი

13.07.2015 წ

ნოტარიუსი: თეიმურაზ ბურდილაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანი ქ. #10
ტელეფონი: 94-60-78

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

საქართველო

ორიათას თხუთმეტი წლის ცამეტ ივლისს, მე, ნოტარიუს თეიმურაზ ბურდილაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ.თბილისი: ც.დადიანის ქ.№10,
მომმართა **მოქ. მერაბი ტალახაძემ.** მან განაცხადა რომ არის შპს „ვილასეტი "-ს დირექტორი და მოითხოვა სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად **მოქ მერაბი ტალახაძემ** (დაბ 06.05.1954წ პირადი №01024030248, მის ქ. თბილისი, შმიდტის ქ. №100) –მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მჭონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევამოწმე მისი უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „ვილასეტი", რასაც ადასტურებს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B15062017, ამონაწერის მომზადების თარიღი 23.03.2015 11:25:23, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თხუთმეტი წლის ცამეტ ივლისს მოქ. მერაბი ტალახაძემ, როგორც შპს „ვილასეტი"-ს **დირექტორმა** (საიდენტიფიკაციო კოდი 200258577)
წინამდებარე მინდობილობით **მოქ. რამაზ ტვილდიანს** (დაბადებული 30.07.1954წ პირადი №01009016511, მის. თბილისი, ვ/ფშაველას გამზ. 7 კვ. 22 კორპ, ბ 37) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება :
რამაზ ტვილდიანი უფლებამოსილია წარმოადგინოს შ.პ.ს. « ვილასეტი»-ს დირექტორის ინტერესები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ინსპექციაში, მისი სახელით განახორციელოს ყველა ის უფლება-მოვალეობა, რაც ევალება მარწმუნებელს, როგორც შპს « ვილასეტი»-ს დირექტორს, "მარწმუნებლის" სახელით ხელი მოაწეროს ყველა შესაბამის დოკუმენტსა და საბუთს, მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრების მუშაობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით, მიიღოს გადაწყვეტილებები პარტნიორთა კრებებში, ხელი მოაწეროს ყველა (ნებისმიერი) დოკუმენტს, მათ შორის წესდებებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.
შ.პ.ს. « ვილასეტი»-ს სახელით შეიძინოს და განკარგოს (გაასხვისოს) უძრავი ქონება, განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ თანხა და სხვა პირობები, ამასთან დაკავშირებით იყოს წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს.
ასევე იყოს მისი წარმომადგენელი ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, განკარგოს შ.პ.ს. « ვილასეტი»-ს საბანკო ანგარიშები ნებისმიერ ვალუტაში, აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციები თანხის შეტანა-გატანის და გადარიცხვის, კონვერტაციის უფლებით, გახსნას და განკარგოს შ.პ.ს. « ვილასეტი»-ს სახელზე ანგარიშები, ინტერნეტბანკი, დაამზადებინოს, განაახლოს, გაუგრძელოს მოქმედების ვადა და მიიღოს მარწმუნებლის სახელზე რიცხული პლასტიკური ბარათი და საბანკო ამონაწერი, ხელი მოაწეროს მის მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 13.07.2017წლამდე
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **10-00** ლარი + რეგისტრაციის საფასური **2.00** ლარი, საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, აგრეთვე დღგ 1.8 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია **13.80** ლარი

მიმნდობი

ნოტარიუსი თეიმურაზ ბურდილაძე

